საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

**ირმა გელაშვილი**

# ბიულეტენი

| კენჭისყრა - 17.06.2021 |
| --- |
| თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს რევაზ ნადარაია? |
| დიახ  არა |

*საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს,*
***ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს***

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად რევაზ ნადარაიას წარდგინებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთება**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში „საბჭო“) 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულების საფუძველზე დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, რომელშიც, სხვა კანდიდატებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო რევაზ ნადარაიამ.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში „ორგანული კანონი“) $34^1$ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატის შესახებ მოპოვებული წერილობითი, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, კანდიდატი - რევაზ ნადარაია შევაფასე კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების მიხედვით. შეფასების შედეგად, მივიჩნიე, რომ რევაზ ნადარაია სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მას მივანიჭე 84 ქულა, რაც ორგანული კანონის $36^4$ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 84%-ს შეადგენს.

მითითებული კანონის $34^1$ მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით, 2021 წლის 17 ივნისს საბჭოს მიერ ჩატარებული ღია კენჭისყრის ფარგლებში კენჭი ეყარა რევაზ ნადარაიას კანდიდატურას მისი საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად. შედეგადად, რევაზ ნადარაიას კანდიდატურამ მოიპოვა საბჭოს 11 წევრის მხარდაჭერა. მიმაჩნია, რომ უზენაესი სასამართლოს - საკასაციო ინსტანციის მოსამართლე უნდა აკმაყოფილებდეს უფრო მაღალ სტანდარტს, რის გამოც ღია სხდომაზე მხარი არ დავუჭირე საქართველოს პარლამენტისთვის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად **რევაზ ნადარაიას** კანდიდატურის წარდგენას.

*პატივისცემით,*

**ირმა გელაშვილი,**
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

2021 წლის 17 ივნისი